



## რეფორმეტრი

# წყლის რესურსების მართვის რეფორმის პროგრესის შეფასებითი ანგარიში

იანვარი, 2024

**USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის საგრანტო აქტივობა:  
რეფორმების პროგრესის მონიტორინგის სისტემა „რეფორმეტრის“ მხარდაჭერა**

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. ანგარიშის შინაარსი შესაძლოა არ წარმოადგენს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

## სარჩევი

წყლის რესურსების მართვის რეფორმის შესახებ.....	3
რეფორმეტრის მეთოდოლოგია.....	3
სამთავრობო გამოკითხვის შედეგები.....	4
დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა.....	8
საჯარო-კერძო დიალოგი.....	9
წყლის რესურსების მართვის შეფასების ინდიკატორები.....	11
1.1 წყალაღება ბუნებრივი ობიექტებიდან.....	11
1.2. წყლის გამოყენება.....	12
1.3 წყლის დანაკარგები.....	13
1.4 ჩამდინარე წყლების ჩაშვება.....	14
1.5 ჩამდინარე წყლების გაწმენდა.....	15
1.6 წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობა.....	16
დანართი N1. დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი.....	18
დანართი N2. წყლის რესურსების მართვის რეფორმის შესახებ საჯარო-კერძო დიალოგის შეხვედრაზე წარმოდგენილი პრეზენტაცია.....	19

## წყლის რესურსების მართვის რეფორმის შესახებ

საქართველოს კანონი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“, რომელიც 2023 წლის 30 ივნისს მესამე მოსმენით მიიღო პარლამენტმა, განსაზღვრავს სააუზო მართვის პრინციპებს, რის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორია მდინარეთა შვიდ სააუზო უბნად<sup>1</sup> დაიყოფა და თითოეული აუზისთვის შემუშავდება სააუზო მართვის გეგმები. ამასთან ერთად, კანონი ადგენს წყლის მდგრადი გამოყენებისა და დაცვის ეკონომიკური მექანიზმებს, რომელიც ეფუძნება „ფასიანი ბუნებათსარგებლობის“ პრინციპს. კერძოდ, ზედაპირული წყლის ობიექტით წყალსარგებლობა დაექვემდებარება ლიცენზირებას და დაწესდება მოსაკრებელი. წყლის რესურსების მართვის რეფორმის ქვეშ დაგეგმილ სხვა ღონისძიებებთან ერთად, ასევე მოაზრებულია წყლის რესურსების მონიტორინგის ქსელის გაფართოვება და კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება წყლის რესურსების დაბინძურებისგან დასაცავად. ახალი კანონით განსაზღვრული აქტივობების ძალაში შესვლა გათვალისწინებულია ეტაპობრივად, ხოლო რეფორმის სრულად ამოქმედება დაგეგმილია 2030 წლამდე.

რეფორმა მიზნად ისახავს წყლის ხარისხის გაუმჯობესებასა და წყლის ობიექტების დაბინძურების პრევენციას; წყლის რესურსების რაციონალური ხარჯვის ხელშეწყობასა და სხვადასხვა მომხმარებელს შორის რესურსების სამართლიან განაწილებას; ასევე, მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ზრდას სასამელო წყალთან და სანიტარულ პირობებთან.

რეფორმის შემუშავებასა და განხორციელების პროცესში წამყვანი როლი აქვს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. კომპეტენციის ფარგლებში ჩართული სხვა უწყებებია: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია; მუნიციპალიტეტები; და საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები.

## რეფორმეტრის მეთოდოლოგია

რეფორმეტრის ფარგლებში, შერჩეული რეფორმების შეფასებისათვის გამოყენებულია სამი ძირითადი ინსტრუმენტი:

1. სამთავრობო კვლევა, ხარისხობრივი გამოკითხვის გზით, აფასებს რეფორმის განხორციელების პროცესში რეფორმის დამნერგავი სამთავრობო უწყებების საქმიანობას ოთხი ძირითადი მიმართულებით: საკანონმდებლო ჩარჩო; ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი; ინსტიტუციური მოწყობა; კომპეტენციის გაძლიერება. აღნიშნული გამოკითხვა 0-დან 100%-იან შკალაზე ზომავს რამდენად ახლოს არის რეფორმის დამნერგავი უწყება რეფორმის მიერ განსაზღვრული ამოცანების შესრულებასთან.
2. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ფარგლებში, რეფორმის დაინტერესებული მხარეები შეფასებას ოთხი ძირითადი მიმართულებით ახორციელებენ: რეფორმის შინაარსი და ადეკვატურობა; რეფორმის სფეროში არსებული ვითარება; რეფორმის დანერგვაში მიღწეული პროგრესი; რეფორმის მოსალოდნელი შედეგები. თითოეული კომპონენტი 10 ქულიან შკალაზე ფასდება (დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი მოცემულია დანართი 1-ის სახით).

<sup>1</sup> ალაზანი-იორი, ჭოროხი-აჭარისწყალი, ხრამი-დებედა, მტკვარი, რიონი, ენგური, და ბზიფი-კოდორი.

3. დამატებით, რეფორმის პროგრესის შესაფასებლად გამოყენებულია რეფორმის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული ეკონომიკური ინდიკატორები.


წყლის რესურსების მართვის რეფორმის შეფასება მოიცავს ზემოთ ხსენებულ სამივე მიმართულებას. წყლის რესურსების მართვის რეფორმის პროგრესის რიგირთ მეორე შეფასებითი შეხვედრა, საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში, 2024 წლის 31 იანვარს გაიმართა.

### სამთავრობო გამოკითხვის შედეგები

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამთავრობო კვლევის შედეგები 2024 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, რომლის მიხედვითაც წყლის რესურსების მართვის რეფორმის ქვეშ დაგეგმილი აქტივობების 52.3% შესრულებულია (დიაგრამა 1).

შესრულების დონით, ყველაზე მაღალი, 67%-იანი, მაჩვენებელი სამართლებრივი ჩარჩოს განვითარების მიმართულებით ფიქსირდება, რასაც მოსდევს კომპეტენციის გაძლიერების (59%) და ინფრასტრუქტურის განვითარების კომპონენტი (56%). რეფორმის ქვეშ დაგეგმილი აქტივობების შესრულების 28%-იანი მაჩვენებელი ფიქსირდება ინსტიტუციური მოწყობის ნაწილში. აღსანიშნავია, რომ სამთავრობო კვლევის წინა შეფასებასთან შედარებით, რომელიც 2023 წლის 28 ივნისის მდგომარეობით გვეჩვენა, პროგრესი დაფიქსირებულია შეფასების ყველა კომპონენტის მიმართულებით.

დიაგრამა 1. სამთავრობო კვლევის შედეგები<sup>2</sup>



ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია წყლის რესურსების მართვის რეფორმით განსაზღვრული აქტივობები და მათი შესრულების სტატუსი შეფასების თითოეული განზომილების მიხედვით.

სამართლებრივი ჩარჩოს მიმართულებით, წინა შეფასებასთან შედარებით, მთავარი სიახლე გახლავთ ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 30 ივნისს მესამე მოსმენით მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმის პირველი შეფასება კანონპროექტის მიღებამდე, 2023 წლის 28 ივნისს, ჩატარდა. იმ დროისათვის კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში მხოლოდ მეორე მოსმენით იყო მიღებული.

<sup>2</sup> რეფორმის პროგრესის შეფასების ოთხ მიმართულებას მინიჭებული აქვს შესაბამისი წონები, თითოეული განზომილების ქვეშ მოაზრებული აქტივობების სიმრავლის და სირთულის გათვალისწინებით. წონები გადანაწილდა შემდეგვარად: სამართლებრივი ჩარჩო - 40%; ინსტიტუციური მოწყობა - 30%; ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი - 20%; კომპეტენციის გაძლიერება - 10%.

ცხრილი 1-ის მიხედვით, წყლის რესურსების მართვის კანონთან დაკავშირებით მისაღები (გამოსაცემი) 15 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტიდან მიღებულია ორი ნორმატიული აქტი; შემუშავებულია და საჭიროებს დამტკიცებას ექვსი ნორმატიული აქტი; ორი აქტი საჭიროებს განახლებას; ხოლო ხუთ ნორმატიულ აქტზე დაგეგმილია მუშაობა. ამათგან, „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობების“ ტექნიკური რეგლამენტის შესახებ უკვე არსებობს რეკომენდაციები თუ როგორი უნდა იყოს პირველადი ვერსია აღნიშნული რეგლამენტის. ასევე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს წინასწარი მოლაპარაკებები EU4Environment-ის პროგრამასთან „ზედაპირული წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ ნორმატიული აქტის შესახებ. სამინისტროს წარმომადგენლისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2024 წელს დაგეგმილია მუშაობის დაწყება ევროკავშირის პროგრამის „Better water quality for citizens, health and environment“ ქვეშ „სასმელი წყალმომარაგების წყლის ობიექტების სანიტარული დაცვის ზონის დადგენისა და მის ფარგლებში საქმიანობის განხორციელების“ წესზე. ამასთან ერთად, „პოტენციური წყალდიდობების რისკის ქვეშ მყოფი არეალების შეფასების შესახებ“ სამართლებრივ აქტზე უკვე მუშაობს გარემოს ეროვნული სააგენტო.

როგორც კანონი განსაზღვრავს, აღნიშნული ნორმატიული აქტების მიღება მთავრობამ 2026 წლის 1 სექტემბრამდე უნდა უზრუნველყოს. სპეციალური წყალსარგებლობის ფორმით ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღებისთვის მოსაკრებელის გადახდის ვალდებულების დადგენა კი განსაზღვრულია 2027 წლის 1 სექტემბრიდან.

**ცხრილი 1: სამართლებრივი ჩარჩო: წყლის რესურსების მართვის კანონთან დაკავშირებით მისაღები 15 ნორმატიული აქტი და მათი მიმდინარე სტატუსი.**

დამტკიცებულია	შემუშავებულია პროექტი	საჭიროებს განახლებას	დაგეგმილია
<ul style="list-style-type: none"> <li>წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის წარმოების წესი;</li> <li>ტექნიკური რეგლამენტი დასახლების წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობების შესახებ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წესი;</li> <li>მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების საზღვრების დამტკიცების თაობაზე;</li> <li>სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ;</li> <li>სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ტექნიკური რეგლამენტი წყალდაცვითი ზოლის შესახებ;</li> <li>დადგენილება „ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ზედაპირული წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების აქტი;</li> <li>ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობების ტექნიკური რეგლამენტი;</li> <li>სასმელი წყალმომარაგების წყლის ობიექტების სანიტარული დაცვის ზონის დადგენისა და მის ფარგლებში საქმიანობის</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესი;</li> <li>• მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის მოპოვების მიზნით ჭაბურღილების აღრიცხვის წესი.</li> </ul>		<p>განხორციელების წესი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;</li> <li>• პოტენციური წყალდიდობების რისკის ქვეშ მყოფი არელების შეფასების შესახებ აქტი.</li> </ul>
--	--	--	---

ინსტიტუციური მოწყობის თვალსაზრისით, რეფორმა 2026 წლის 1 სექტემბრამდე ითვალისწინებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მდინარეების აუზების დონეზე სამსახურების შექმნას და სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების ჩამოყალიბებას (ცხრილი 2). ასევე, მიმდინარეობს მუშაობა მდინარის სააუზო მართვის გეგმების შემუშავებაზე. შვიდი სააუზო უბნიდან მზად არის სამი სააუზო მართვის გეგმა (ალაზანი-იორი, ჭოროხი- აჭარისწყალი, და ხრამი-დებედა), თუმცა საჭიროა მათი განახლება. ასევე, პირველადი ვერსიები უკვე არსებობს ორი (რიონის და ენგურის) სააუზო მართვის გეგმის, რომელთა თაობაზეც წყალტუბოში და ზუგდიდში უკვე გაიმართა განხილვები დაინტერესებულ მხარეებს შორის. მიღებული კომენტარების საფუძველზე, კავკასიის გარემოსდაცვითი ცენტრი აგრძელებს მუშაობას აღნიშნული გეგმების შემუშავებაზე. პროექტის დამთავრდება იგეგმება 2024 წლის ზაფხულში, რა დროისთვისაც მოხდება გეგმების გაზიარება საჯარო განხილვებისთვის. რაც შეეხება მტკვრის მდინარის სააუზო მართვის გეგმას, სამინისტროს ინფორმაციით, არსებობს წინასწარი შეთანხმება საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან პროექტის დაფინანსების თაობაზე. აღნიშნულ გეგმაზე მუშაობის დაწყება დაგეგმილია 2024 წელს.

რეფორმის წინა შეფასებასთან შედარებით, ინსტიტუციური მოწყობის თვალსაზრისით, ერთ-ერთი სიახლე გახლავთ ის, რომ მოხდა მიწისქვეშა და ზედაპირულ წყლებზე ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა. ამასთან დაკავშირებით, ასევე, გაიცა რეკომენდაციები თუ სად უნდა განთავსდეს დამატებითი მონიტორინგის სადგურები.

ამ ეტაპისთვის, შემუშავებულია გარემოსდაცვითი ხარჯის გაანგარიშების მეთოდოლოგია და წყლის ობიექტების ეკოლოგიური სტატუსისა და ეკოლოგიური პოტენციალის კლასიფიკაციის მეთოდოლოგია, რომლებიც საჭიროებს დამტკიცებას. გარემოსდაცვითი ხარჯის გაანგარიშების მეთოდოლოგიის დოკუმენტმა ბოლო პერიოდში გაიარა რედაქტირება და დამტკიცებამდე, დოკუმენტი შესაძლოა გადაეგზავნოს სხვა სამინისტროებს კონსულტაციებისთვის.

რაც შეეხება დაგეგმილ აქტივობებს, როგორც უკვე აღინიშნა, სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების და მდინარეების აუზების დონეზე სამსახურების შექმნა სამინისტროს სისტემაში კანონის მიხედვით 2026 წლისთვისა დაგეგმილი. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცდელობა აქვს, რომ 2025 წლისთვის შექმნას აღნიშნული სამსახურები, თუმცა, საჭიროა დონორთა დახმარება. სამინისტრო ტვინინგის პროექტისთვის ამზადებს საპროექტო წინადადებას, რათა მიიღონ შესაბამისი ტექნიკური დახმარება აღნიშნული სისტემის ჩამოყალიბებისთვის.

რაც შეეხება ურბანული ჩამდინარე წყლებით ზემოქმედების რისკის ქვეშ მყოფი სენსიტიური არეალებისა და აგლომერაციების იდენტიფიცირებას, ამ საკითხზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უკვე დაიწყო მუშაობა USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამასთან თანამშრომლობით მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავებაზე, რისი დასრულებაც იგეგმება 2024 წელს.

**ცხრილი 2: ინსტიტუციური მოწყობა: რეფორმის ქვეშ დაგეგმილი აქტივობები და მათი მიმდინარე სტატუსი.**

შესრულებული	შემუშავებული მეთოდოლოგიები, რომლებიც საჭიროებს დამტკიცებას	მიმდინარე	დაგეგმილი
<ul style="list-style-type: none"> <li>მიწისქვეშა და ზედაპირულ წყლებზე ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>გარემოსდაცვითი ხარჯის გაანგარიშების მეთოდოლოგია;</li> <li>წყლის ობიექტების ეკოლოგიური სტატუსისა და ეკოლოგიური პოტენციალის კლასიფიკაციის მეთოდოლოგია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სააუზო მართვის გეგმების შემუშავება და დამტკიცება (მზად არის 3 გეგმა (ალაზანი-იორი, ჭოროხი-აჭარისწყალი, ხრამი-დებედა). პირველადი ვერსიები არსებობს 2 გეგმის (რიონი და ენგური</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნა;</li> <li>მდინარეების აუზების დონეზე სამსახურების შექმნა სამინისტროს სისტემაში;</li> <li>კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წესების შემუშავება;</li> <li>ურბანული ჩამდინარე წყლებით ზემოქმედების რისკის ქვეშ მყოფი სენსიტიური არეალებისა და აგლომერაციების იდენტიფიცირება.</li> </ul>

ცხრილი 3 აჯამებს ინფრასტრუქტურული მოწყობისა და კომპეტენციების გაძლიერების მიმართულებით რეფორმის ფარგლებში მიმდინარე აქტივობებს.

ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, კანონით განსაზღვრულია, რომ 2027 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უზრუნველყოფს კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებას ქალაქებისა და სოფლების წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია, რომ წყალარინების გამწმენდი ნაგებობები რეგიონებში ცხრა ლოკაციაზე უკვე აშენებულია.<sup>3</sup> მიმდინარეობს მუშაობა ფოთში და გუდაურში და ასევე, დაგეგმილია აღნიშნული სამუშაოების წარმოება ქუთაისში.

რეფორმის ქვეშ მიმდინარე აქტივობებს შორისაა, ასევე, წყლის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოება და წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის სისტემის შემუშავება. ამ კუთხით, მნიშვნელოვანი სიახლე გახლავთ ის, რომ წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის სისტემა უკვე ჩაეშვა მოხმარებაში და სამინისტრომ 2023 წელს ელექტრონული ფორმით მიიღო ანგარიშები. თუმცა, სამთავრობო კვლევის ფარგლებში, გამოვლინდა სისტემის დამატებითი დახვეწის საჭიროება, რაც EU4Environment პროგრამის მხარდაჭრით მიმდინარეობს ამ ეტაპზე.

<sup>3</sup> ანაკლიაში, ზუგდიდში, ურეკში, წყალტუბოში, თელავში, აჭარაში, ჩაქვი, ქობულეთში და ბათუმში.

რაც შეეხება წყლის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოებას, 2022 წლის მდგომარეობით, ზედაპირული წყლების ქიმიური მონიტორინგის 231 წერტილია ფუნქციონირებს ქვეყანაში, რაც დაინატრესებული მხარეების მიერ შეფასებულია როგორც ოპტიმალური რაოდენობა, თუმცა ხაზი გაესვა ასევე ბიოლოგიური მონიტორინგის დამატებით საჭიროებას.

კომპეტენციების გაძლიერების მიმართულებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩართულობით, მიმდინარეობს რიგი ღონისძიებები სხვადასხვა დაინატრესებული მხარეების, მათ შორის მუნიციპალიტეტების, უნარების გაძლიერებისთვის.

აღსანიშნავია, რომ USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტის „წყლის რესურსების მართვის (WRM) კანონის მოთხოვნების განხორციელებისა და ინფორმირებულობის ხელშეწყობა საქართველოს მუნიციპალიტეტებში“ ფარგლებში, 62 მუნიციპალიტეტში უკვე ჩატარდა ტრენინგი ახალი კანონით შემოღებული სიახლეებისა და რეგულაციების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებისთვის კანონით განსაზღვრული კომპეტენციების ამოქმედება ეტაპობრივად დაგეგმილი და სრულად ამოქმედება მოხდება 2030 წლის 1 იანვრიდან.

ასევე, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, ორგანიზაცია „გარემო და განვითარება“ რეგიონებში ატარებს ფორუმებს კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინატრესებული მხარეებისთვის საინფორმაციო კამპანიის წარმოების მიზნით. ორი აუზის ფარგლებში აღნიშნული ფორუმი უკვე გაიმართა ბათუმსა და ზუგდიდში. დაგეგმილია დამატებით ოთხი ფორუმის ჩატარება.

**ცხრილი 3: ინფრასტრუქტურა და კომპეტენციის გაძლიერება: რეფორმის ქვეშ მიმდინარე აქტივობები.**

მიმდინარე აქტივობები	
ინფრასტრუქტურა	კომპეტენციის გაძლიერება
<ul style="list-style-type: none"> <li>• კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება ქალაქებისა და სოფლების წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საკანალიზაციო ჩამდინარე წყლებით წყლის რესურსების დაბინძურებისგან დასაცავად;</li> <li>• ზედაპირული (მათ შორის, შავი ზღვის) და მიწისქვეშა წყლის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოება;</li> <li>• მიწისქვეშა წყლების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება, როგორც მონიტორინგის ქსელის გაზრდით, ისე შერჩეულ ჭაბურღილებზე ახალი აღჭურვილობის დამონტაჟებით;</li> <li>• წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის სისტემის შემუშავება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მუნიციპალიტეტების უნარების/კომპეტენციების გაძლიერება;</li> <li>• რეგიონული სამოქალაქო საზოგადოებს ორგანიზაციების უნარების/კომპეტენციების გაძლიერება;</li> <li>• სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, გარემოს ეროვნული სააგენტოს და სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლების უნარების/კომპეტენციების გაძლიერება.</li> </ul>

**დაინატრესებულ მხარეთა გამოკითხვა**

წყლის რესურსების მართვის რეფორმის ირგვლივ ჩატარებული საჯარო-კერძო დიალოგის შეხვედრაზე დაინატრესებულ მხარეთა (რეფორმის განმახორციელებელი სახელმწიფო უწყებების გარდა) ანონიმური გამოკითხვის საფუძველზე, რეფორმა 10 ქულიდან 7.15 ქულით



შეფასდა, რაც შეხვედრის მონაწილეების მიერ რეფორმის მიმდინარეობის ძლიერ შეფასებაზე მიუთითებს (დიაგრამა 2).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები შეფასების ცალკეული კომპონენტებისთვის, რომლის მიხედვითაც რეფორმის შინაარსი და ადეკვატურობა, რეფორმის პროგრესი და მოსალოდნელი შედეგები დადებითად შეფასდა. ხოლო, რეფორმის სფეროში არსებული ვითარების მიმართულებით კი კვლავ ზომიერი შედეგი (4.92 ქულა) დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ წინა პერიოდის შეფასებასთან შედარებით, ყველა კომპონენტი უფრო მაღალი ქულით შეფასდა დაინტერესებულმა მხარეების მიერ.

**დიაგრამა 2. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები წყლის რესურსების მართვის რეფორმის შეფასებაზე**



**საჯარო-კერძო დიალოგი**

წყლის რესურსების მართვის რეფორმის პროგრესის შეფასების მიზნით გამართულ საჯარო-კერძო დიალოგის ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოს ეროვნული სააგენტოს, საქართველოს წყლის ეროვნული პარტნიორობის, საქართველოს განახლებადი ენერჯის განვითარების ასოციაციის, Global Environmental Outlook (GEO) ორგანიზაციის, EU4Environment პროგრამის, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის, ოპერაციების კვლევის ინსტიტუტის, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის, პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ გჯუფის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა და USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის წარმომადგენლებმა.

ღონისძიების გახსნითი ნაწილის შემდეგ, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამისა და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წარმომადგენლებმა ისაუბრეს „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ ახალი კანონის მნიშვნელობაზე და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღების მიმდინარე სტატუსი მიმოიხილეს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა მოკლედ მიმოიხილა წყლის რესურსების მართვის რეფორმის მნიშვნელოვანი სიახლეები და ასევე, ისაუბრა ამ მიმართულებით, ბოლო პერიოდში, გადადგმულ ნაბიჯებზე და რეფორმის არსებულ პროგრესზე. „რეფორმეტრის“ გუნდმა სამთავრობო კვლევის შედეგები წარადგინა და ასევე, მიმოიხილა რეფორმის შეფასების ინდიკატორების განახლებული დინამიკა. ანგარიშის მოცემულ ნაწილში შეჯამებულია საჯარო-კერძო დიალოგის ღონისძიებაზე გამოთქმული მოსაზრებები:



- დისკუსიის დროს, მონაწილეებმა მიმოიხილეს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის წერტილების ამჟამინდელი რაოდენობა. აღინიშნა, რომ საქართველოში წყლის ხარისხის მონიტორინგი ძირითადად ფოკუსირებულია ქიმიურ დაბინძურებაზე, თუმცა, დროთა განმავლობაში, უფრო მეტი ყურადღება მახვილდება ბიოლოგიური მონიტორინგის განხორციელებაზე.
- დამსწრეებმა, ასევე, მიმოიხილეს ზედაპირული წყლების გამოყენებისთვის ლიცენზირებისა და მოსაკრებლების დაწესების თემასთან დაკავშირებული საკითხები. დაინტერესებული მხარეების მხრიდან კითხვა დაისვა ასევე მოსაკრებლიდან გენერირებული შემოსავლების მართვის პოტენციური სტრატეგიებზეც. აღინიშნა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) ამჟამად მუშაობს ზედაპირული წყლების აღებაზე მოსაკრებლის საფასურის განსაზღვრაზე. ხოლო მოსაკრებლიდან გენერირებული თანხების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებები, როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, სამომავლოდ კოორდინირებული უნდა იყოს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, მათ შორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.
- განხილვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო საქართველოს ინიციატივები მეზობელ ქვეყნებთან ტრანსსასაზღვრო წყლის რესურსების მართვისთვის. ეს ინიციატივები მოიცავს წყლის ხარისხის ერთობლივი მონიტორინგის ტესტების ჩატარებას სომხეთთან და აზერბაიჯანთან; 2023 წელს აზერბაიჯანთან ხელმოწერილ განზრახვის ოქმს, ასევე სომხეთთან დაგეგმილ ტექნიკურ ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს მონაცემთა გაცვლას, წყლის ხარისხის ერთობლივ მონიტორინგს და სხვა ასპექტებს.
- დამსწრეებმა გამოხატეს ინტერესი, რომ დონორებმა და სამინისტროს წარმომადგენლებმა უფრო ფართოდ გაავრცელონ ინფორმაცია მუნიციპალიტეტებში განხორციელებული კომპეტენციების გაძლიერებასთან დაკავშირებული დაგეგმილი თუ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. აღინიშნა, რომ მინიმალური ისახავს დაგეგმილი ძალისხმევების შემცირებას დაინტერესებულ მხარეებს შორის, რომლებიც ჩართულნი არიან კომპეტენციის გაძლიერებასთან დაკავშირებულ აქტივობებში.
- ღონისძიებისას ყურადღება გამახვილდა წყლის ხარისხისთან დაკავშირებულ საკითხებზე, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებთან მიმართებით, სადაც მოსახლეობა მოიხმარს ჭის წყალს და იყენებს სოფლის/მუნიციპალურ წყლის ინფრასტრუქტურას. შეზღუდული მონიტორინგის გამო, ზოგიერთ ოჯახს თავად უწევს წყლის ხარისხის შესამოწმებელი ტესტების ჩატარება, ზოგი კი შესაძლებელია ვერც აცნობიერებდეს ამგვარი შემოწმების ჩატარების აუცილებლობას. სოფლის მეურნეობის სექტორის მსგავსი დაბრკოლებები ექმნება წყლის ხარისხის შემოწმებასა და სტანდარტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით. ფერმერებს თავად უწევთ დაფარონ წყლის ხარისხის ტესტირებისა და მის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ხარჯები. აღინიშნა ხაზს უსვამს მთავრობისა და დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამების საჭიროებას, არსებული გამოწვევების საპასუხოდ.
- განხილვის ერთ-ერთი საკითხი იყო წყლის დანაკარგის მაღალი მაჩვენებელი და მისი გამოთვლის მეთოდოლოგია. დაინტერესებულ მხარეებს შორის გაჟღერდა მოსაზრება წყლის დანაკარგების გაზომვის სხვადასხვა მეთოდოლოგიის შესწავლის შესახებ. მაგალითად, მაშინ როცა, საქსტატის მიერ საყოფაცხოვრებო სექტორში წყლის დანაკარგების ინდიკატორი ასახავს დანაკარგებს ტრანსპორტირების, რომელიც ემყარება წყალმომარაგების საწარმოების გამოკვლევის შედეგებს, დარგის ექსპერტების მხრიდან გაჟღერდა მოსაზრება წყლის დანაკარგების გაზომვისას ე.წ. არამომოსავლიანი წყლის (Non-Revenue Water) კონცეფციის გამოყენების მნიშვნელობაზე, რომელიც მოიცავს როგორც ტექნიკურ დანაკარგებს (დანაკარგებს

ტრანსპორტირებისას), ასევე კომერციულ დანაკარგებს, რაც გაუმართავი საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის და ზენორმატიული მოხმარების შედეგია.

საჯარო-კერძო დიალოგის დასკვნით ნაწილში კიდევ ერთხელ გამახვილდა ყურადღება მდინარეთა სააუზო მართვის სამსახურების სტრუქტურასა და უფლებამოსილებაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ სხვადასხვა ქვეყნებს საკმაოდ მრავალფეროვანი მიდგომები აქვთ ამ საკითხთან მიმართებით (მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი სამსახურები ჩართული არიან მოსაკრებლის შეგროვების, ირიგაციული სისტემების გამართვის და სხვა მსგავს საქმიანობებში, მაშინ როცა, ზოგ ქვეყანაში მსგავსი ინსტიტუტები ფუნციონირებენ როგორც ერთ-ერთი დეპარტამენტი სამინისტროს სიტემაში შედარებით შეზღუდული უფლებამოსილებით). ასევე, აღინიშნა, რომ საქართველოში მდინარეთა სააუზო მართვის სამსახურების ფორმირება მოხდება არსებული მიდგომარეობის (მათ შორის, ბიუჯეტის თანხების ალოკაციის და დასაქმებულების უნარების) გათვალისწინებით და საერთშორისო პარტნიორების რეკომენდაციების მიხედვით.


## წყლის რესურსების მართვის შეფასების ინდიკატორები

რეფორმის განხორციელების პროგრესის შეფასების მიზნით, „რეფორმეტრის“ გუნდმა შეარჩია გარკვეული ინდიკატორები მონაცემთა ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. ქვემოთ წარმოდგენილია შერჩეული ინდიკატორების დინამიკა 2015-2022 წლებში, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ასახავს რეფორმის შედეგებს და დარგში არსებულ ვითარებას.

### 1.1 წყალაღება ბუნებრივი ობიექტებიდან

ბუნებრივი ობიექტებიდან წყალაღება გვიჩვენებს ზედაპირული წყალსატევებიდან (მდინარეების, ტბებისა და ზღვების ჩათვლით) და მიწისქვეშა ჰორიზონტებიდან შემდგომი გამოყენების მიზნით აღებული წყლის რესურსების მოცულობას. აღნიშნული მაჩვენებელი არ მოიცავს ტრანზიტული წყლის მოცულობას, რომელიც მიეწოდება დიდ არხებს, წყლის არაცენტრალიზებულ ადებსა მოსახლეობის მიერ ჭებიდან, ბუნებრივი წყალსაცავებიდან და სხვა. როგორც გრაფიკი 1 გვიჩვენებს, მიწისქვეშა წყლის ობიექტებიდან ამოღებული წყლის მოცულობა შედარებით სტაბილურია 2015-2022 წლებში და მერყეობს 480 მილიონი კუბური მეტრიდან 526 მილიონ კუბურ მეტრამდე, ხოლო ზედაპირული წყლის ობიექტებიდან ამოღებული წყლის მოცულობა მეტად ცვალებადია და 2022 წლის მდგომარეობით, 1.6 მლრდ კუბური მეტრი შეადგინა.

**გრაფიკი 1. წყალაღება\* ბუნებრივი ობიექტებიდან (მლნ მ3)**




წყარო: საქსტატის წლიური პუბლიკაცია: საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა (2022, 2017).

\* არ მოიცავს ჰიდროელექტროსადგურების მიერ ელექტროენერჯის წარმოებისთვის აღებულ წყალს.

## 1.2. წყლის გამოყენება

წყლის გამოყენების ინდიკატორი გვიჩვენებს სხვადასხვა წყაროდან (ზედაპირული, მიწისქვეშა, მახტური, ზღვის და სხვა) აღებული წყლის რესურსების გამოყენებას სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად: სასმელ-სამეურნეო, საწარმოო და სხვა საჭიროებებისათვის. მე-2 გრაფიკზე წარმოდგენილი გამოყენებული წყლის მოცულობა არ მოიცავს ბრუნვით წყალმომარაგებას, მეორად-მიმდევრობით გამოყენებულ ჩამდინარე წყალს, აგრეთვე, ჩამდინარე საკონტროლო-სადრენაჟე წყლებს. როგორც გრაფიკზეა ასახული, 2022 წელს, 2016 წელთან შედარებით, საწარმოო საჭიროებებისთვის წყლის მოხმარება 64.5%-ით გაიზარდა და შეადგინა 431 მლნ მ3, ხოლო სასმელ-სამეურნეო საჭიროებისთვის აღებული წყლის მოცულობა დროთა განმავლობაში შემცირდა და 2022 წელს 234 მლნ მ3 შეადგინა.

**გრაფიკი 2. წყლის გამოყენება (მლნ მ3)**




წყარო: საქსტატის წლიური პუბლიკაცია: საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა (2022, 2017)\* არ მოიცავს ჰიდროელექტროსადგურების მიერ ელექტროენერჯის წარმოებისთვის გამოყენებულ წყალს

**1.3 წყლის დანაკარგები**

გრაფიკი 3 გვიჩვენებს საყოფაცხოვრებო სექტორში წყლის დანაკარგებს ტრანსპორტირებისას. აღნიშნული ინდიკატორი ეფუძნება საქსტატის წყალმომარაგებელი საწარმოების გამოკვლევის შედეგებს და ასახავს გაჟონვით, აორთქლებით, ავარიებით, წყალშომის შეცდომით, ან/და სხვა მიზეზით დაკარგული წყლის მოცულობას ტრანსპორტირებისას. როგორც გრაფიკი 3 გვიჩვენებს, წყლის დანაკარგების მოცულობა მილიონ კუბურ მეტრებში ისევე, როგორც მისი პროცენტული წილი წყალმომარაგებელი საწარმოების მიერ წყალმომარაგების სისტემაში გაშვებული წყლის მოცულობაში, 2020 წლამდე მცირდებოდა. 2021-2022 წლებში დანაკარგების ზრდა ფიქსირდება და როგორც გრაფიკზე ჩანს, 2022 წლის მდგომარეობით წყალმომარაგებელი საწარმოების მიერ აბონენტებისთვის მიწოდებული წყლის 72% (638.6 მლნ მ3) დაიკარგა.


**გრაფიკი 3. საყოფაცხოვრებო სექტორში წყლის დანაკარგები ტრანსპორტირებისას**



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 4 გვიჩვენებს წყლის დანაკარგებს ირიგაციული სისტემებიდან. საქართველოს მელიორაციის მონაცემებზე დაყრდნობით, 2022 წლის მდგომარეობით, დანაკარგების წილი ირიგაციული სისტემებიდან აღებული წყლის მოცულობაში შეადგენდა 33%-ს (694 მლნ მ3).

**გრაფიკი 4. წყლის დანაკარგები ირიგაციული სისტემებიდან**




წყარო: საქართველოს მელიორაცია

#### 1.4 ჩამდინარე წყლების ჩაშვება

გრაფიკი 5 გვიჩვენებს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების და დაბინძურებული ჩამდინარე წყლების (სამრეწველო და საყოფაცხოვრებო (კომუნალური) ჩამდინარე წყლები (შახტური, წიაღისეული და დრენაჟული წყლების ჩათვლით), რომლებიც შეიცავენ დამაბინძურებელ ნივთიერებებს იმაზე დიდი რაოდენობით, ვიდრე ზღვრულად დასაშვებია) მოცულობას. როგორც გრაფიკზეა წარმოდგენილი, ორივე ინდიკატორი დროთა განმავლობაში კლებადი ტენდენციით ხასიათდება (2019 წლის გამოკლებით). 2020-2022 წლებში, ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე დაბინძურებული წყლების პროცენტული წილი არ შეცვლილა და 31%-ს შეადგენდა.

გრაფიკი 5. ჩამდინარე წყლების ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტებში




წყარო: საქსტატის წლიური პუბლიკაცია: საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა (2022, 2017)

### 1.5 ჩამდინარე წყლების გაწმენდა


მე-6 და მე-7 გრაფიკები ასახავს წყალარინების ქსელსა და ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებზე მიერთებული მოსახლეობის პროცენტულ მაჩვენებელს. როგორც გრაფიკი 6 გვიჩვენებს, 2022 წლის მდგომარეობით, მოსახლეობის 52.4% მიერთებული იყო წყალარინების ქსელზე და მათგან 12.6% მიერთებული იყო წყალარინების ქსელზე ჩამდინარე წყლის გაწმენდის გარეშე. შესაბამისად, როგორც გრაფიკი 7 გვიჩვენებს, 2022 წელს ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებზე მიერთებული მოსახლეობის პროცენტული წილი 2021 წელთან შედარებით გაიზარდა და 39.8% შეადგინა.

**გრაფიკი 6. წყალარინების (კანალიზაციის) ქსელზე მიერთებული მოსახლეობა (%)**



წყარო: საქსტატი

**გრაფიკი 7. ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებზე მიერთებული მოსახლეობა (%)**



წყარო: საქსტატი


### 1.6 წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობა

მე-8 გრაფიკი გვიჩვენებს წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობის პროცენტულ მაჩვენებელს 2015-2022 წლებში. როგორც გრაფიკიდან ჩანს, წყალმომარაგების სისტემაზე წვდომის მქონე მოსახლეობის წილი დროთა განმავლობაში გაიზარდა, 59.5%-დან



(2015 წ.) 71.5%-მდე (2022 წ.), თუმცა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს (28.5%) კვლავ არ აქვს წვდომა სასმელი წყლის ინფრასტრუქტურასთან.

**გრაფიკი 8. წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობა (%)**



წყარო: საქსტატი

## დანართი N1. დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი

### რეფორმის მინაარსი და ადეკვატურობა

1. რამდენად შეესაბამება წყლის რესურსების მართვის რეფორმის მიზნები სექტორში არსებულ გამოწვევებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

2. რამდენად არის უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა რეფორმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

### რეფორმის პროგრესი

3. როგორ შეაფასებდით წყლის რესურსების მართვის რეფორმის ფარგლებში დღეის მდგომარეობით განხორციელებულ ღონისძიებებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

4. რამდენად უწყობს ხელს რეფორმის ფარგლებში გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებები წყლის რესურსების განვითარების შემზღვეველი ფაქტორების დაძლევისას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

### არსებული ვითარება

5. როგორ შეაფასებდით წყლის რესურსების მართვის სექტორში არსებულ მდგომარეობას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

### მოსალოდნელი შედეგები

6. მოხდება თუ არა რეფორმის განხორციელებით დასახული მიზნების მიღწევა?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

7. არის თუ არა რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიებები დასახული მიზნების მიღწევის ოპტიმალური გზა?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

**დანართი N2. წყლის რესურსების მართვის რეფორმის შესახებ საჯარო-  
კერძო დიალოგის შეხვედრაზე წარმოდგენილი პრეზენტაცი**



# რეფორმები

თითოეული რეფორმის კვალდაკვალ

# შინაარსი



1. პროექტ რეფორმეტრის მიზნების და მეთოდოლოგიის გაცნობა
1. სამთავრობო კვლევის შედეგად, რეფორმის პროგრესის შეფასების შედეგების პრეზენტაცია
1. წყლის რესურსების მართვის რეფორმის ძირითადი ინდიკატორების მიმოხილვა

# პროექტის შესახებ



- რეფორმეტრის მიზანია შერჩეული ეკონომიკური რეფორმების პროგრესის ანალიზი, რეფორმით დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა და რეფორმის განმახორციელებელი სამთავრობო უწყებების მხარდაჭერა რეფორმის ცნობადობის და ეფექტიანობის ასამაღლებლად.
- რეფორმეტრის პირველი ფაზა: 2015-2019 წლები
- პროექტის ახალი ეტაპი: 2021-2024 წლები
- სამიზნე რეფორმები:
  - წყლის რესურსების მართვის რეფორმა
  - კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმა
  - გადახდისუნარობის რეფორმა
  - ელექტრონული კომერციის რეფორმა
  - ტურიზმის რეფორმა
  - რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ინსტიტუციონალიზაციის რეფორმა
  - მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების რეფორმა

# პროექტის მეთოდოლოგია



1. **სამთავრობო კვლევა** - რეფორმის დანერგვაში ჩართული უწყებების მიერ რეფორმის პროგრესის შეფასება.
1. **დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა** - კერძო, საჯარო და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან დაინტერესებულ პირთა მიერ რეფორმის და მისი პროგრესის შეფასება.
1. **ეკონომიკური ინდიკატორები** - პროექტის გუნდის მიერ იდენტიფიცირებული ინდიკატორები რეფორმის მიმდინარეობასა და მიღებულ შედეგებზე დასაკვირვებლად

# წყლის რესურსების მართვის რეფორმის მიზნები



წყლის რესურსების დაცვა და მდგრადი გამოყენება

წყლის ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება

სასმელ წყალთან და სანიტარულ პირობებთან მოსახლეობის უწყვეტი ხელმისაწვდომობა

სხვადასხვა მომხმარებლებს შორის წყლის რესურსების სამართლიანი განაწილება



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA





# რეფორმის განხორციელების ვადები



კანონთან  
დაკავშირებული  
ნორმატიული  
აქტების მიღება და  
წყლის რესურსების  
მართვის სფეროს  
მარეგულირებელი  
შესაბამისი  
მეთოდოლოგიების  
დამტკიცება

სააუზო მართვის  
საკონსულტაციო-  
საკოორდინაციო  
საბჭოების შექმნა;  
მდინარის აუზების  
დონეზე  
სამსახურების შექმნა  
სამინისტროს  
სისტემაში; წყლის  
გამოყენების  
სახელმწიფო  
აღრიცხვის სისტემა

ზედაპირული  
წყლის  
ობიექტიდან  
წყალაღებაზე  
მოსაკრებლის  
დადგენა

კომპლექსური  
დონისძიებების  
შემუშავება ქალაქებისა  
და სოფლების  
წყალარინების  
(საკანალიზაციო)  
სისტემების  
მდგომარეობის  
გასაუმჯობესებლად

მუნიციპალი-  
ტეტებისთვის  
კანონით  
განსაზღვრლი  
კომპეტენციების  
ამოქმედება



2026 წ. 1  
სექტემბრამდე

2026 წ.

2027 წ.


2027 წ. 1  
სექტემბრამდე

2030 წ. 1  
იანვრიდან



# სამთავრობო კვლევის შედეგები


# სამთავრობო კვლევა რეფორმის პროგრესის შეფასების მიმართულებები




# რეფორმის პროგრესის შეფასება - სამთავრობო კვლევის შედეგები



პირველი შეფასების  
შედეგები  
**28.06.2023**



მეორე შეფასების  
შედეგები  
**31.01.2024**



წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონი 2023 წლის 30 ივნისს იქნა მიღებული.  
ახალ კანონთან დაკავშირებით მისაღები 15 ნორმატიული აქტი:



წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის წარმოების წესი

ტექნიკური რეგლამენტი „დასახლების წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობების შესახებ“

წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წესი

მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების საზღვრების დამტკიცების თაობაზე

სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ

სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე

წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესი

მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის მოპოვების მიზნით ჭაბურღილების აღრიცხვის წესი

ტექნიკური რეგლამენტი „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“

დადგენილება „ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“


ზედაპირული წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების აქტი

ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობების ტექ. რეგლამენტი

სასმელი წყალმომარაგების წყლის ობიექტების სანიტარული დაცვის ზონის დადგენისა და მის ფარგლებში საქმიანობის განხორციელების წესი

ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ ტექ. რეგლამენტი

პოტენციური წყალდიდობების რისკის ქვეშ მყოფი არელების შეფასების შესახებ აქტი



დამტკიცებულია

შემუშავებულია დრაფტი

საჭიროებს განახლებას

დაგეგმილია

# რეფორმის ქვეშ დაგეგმილი აქტივობები



მიწისქვეშა და ზედაპირულ წყლებზე ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა

გარემოსდაცვითი ხარჯის გაანგარიშების მეთოდოლოგია

წყლის ობიექტების ეკოლოგიური სტატუსისა და ეკოლოგიური პოტენციალის კლასიფიკაციის მეთოდოლოგია

სააუზო მართვის გეგმების შემუშავება და დამტკიცება:

- მზად არის 3 გეგმა (ალაზანი-იორი, ჭოროხი-აჭარისწყალი, ხრამი-ღებულა)
- პირველადი ვერსიები არსებობს 2 გეგმის (რიონი და ენგური)

სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნა

მდინარეების აუზების დონეზე სამსახურების შექმნა სამინისტროს სისტემაში

კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წესების შემუშავება

ურბანული ჩამდინარე წყლებით ზემოქმედების რისკის ქვეშ მყოფი სენსიტიური არეალებისა და აგლომერაციების იდენტიფიცირება



შესრულებული

შემუშავებული მეთოდოლოგიები, რომლებიც საჭიროებს დამტკიცებას

მიმდინარე

დაგეგმილი

# რეფორმის ქვეშ დაგეგმილი აქტივობები



კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება ქალაქებისა და სოფლების წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საკანალიზაციო ჩამდინარე წყლებით წყლის რესურსების დაბინძურებისგან დასაცავად

ზედაპირული (მათ შორის შავი ზღვის) და მიწისქვეშა წყლის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოება

მიწისქვეშა წყლების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება, როგორც მონიტორინგის ქსელის გაზრდით, ისე შერჩეულ ჭაბურღილებზე ახალი აღჭურვილობის დამონტაჟებით

წყლის გამოყენების სახელმწიფო ადრიცხვის სისტემის შემუშავება

გამწმენდი ნაგებობა აშენებულია 9 ლოკაციაზე რეგიონში. მიმდინარეობს მუშაობა ფოთში, გუდაურში. დაგეგმილია ქუთაისში.

ამ ეტაპისთვის, არსებობს 230 ქიმიური მონიტორინგის წერტილი.

მიმდინარეობს მუშაობა

სისტემა ჩაეშვა მოხმარებაში, თუმცა საჭიროებს დამატებით დახვეწვას

## მიმდინარე აქტივობები

## პროგრესი/შესრულების სტატუსი

## რეფორმის ქვეშ დაგეგმილი აქტივობები



მუნიციპალიტეტების უნარების/კომპეტენციების გაძლიერება

რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უნარების/კომპეტენციების გაძლიერება

სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, გარემოს ეროვნული სააგენტოს და სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლების უნარების/კომპეტენციების გაძლიერება

62 მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტრენინგი ახალი კანონის სიახლეებზე. 2 სააუზო მართვის გეგმაზე MEPA-მ ჩაატარა ტრენინგები მუნიციპალიტეტებისთვის. იგივე იგეგმება სხვა სააუზო მართვის გეგმებზეც.

ორი აუზის ფარგლებში ფორუმები ჩატარდა საინფორმაციო კამპანიის წარმოების მიზნით: 1) ბათუმში და 2) ზუგდიდში. დაგეგმილია დამატებით ოთხი ფორუმის გამართვა.

აქტივობა შესრულებულია 70%-ით

მიმდინარე აქტივობები

პროგრესი/შესრულების სტატუსი



# რეფორმის პირველადი შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ 28.06.2023



## ზოგადი შეფასება



## შინაარსი და ადეკვატურობა



## არსებული ვითარება



## პროგრესი




## მოსალოდნელი შედეგები





## რეფორმის შეფასების ინდიკატორები

# წყლის აღება\* ბუნებრივი ობიექტებიდან




- წყლის აღება მიწისქვეშა წყლის ობიექტებიდან
- წყლის აღება ზედაპირული წყალსატევებიდან

წყარო: საქსტატის წლიური პუბლიკაცია: საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა (2022, 2017)

\* არ მოიცავს ჰიდროელექტროსადგურების მიერ ელექტროენერჯის წარმოებისთვის აღებულ წყალს.


# წყლის გამოყენება\*



წყარო: საქსტატის წლიური პუბლიკაცია: საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა (2022, 2017)


\* არ მოიცავს ჰიდროელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის წარმოებისთვის გამოყენებულ წყალს

# საყოფაცხოვრებო სექტორში წყლის დანაკარგები ტრანსპორტირებისას




წყარო: საქსტატი

# წყლის დანაკარგები ირიგაციული სისტემებიდან



წყარო: საქართველოს მელიორაცია

# ჩამდინარე წყლის ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტებში




- ჩამდინარე წყლის ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტებში (მლნ მ3)
- დაბინძურებული ჩამდინარე წყალი (%)

წყარო: საქსტატის წლიური პუბლიკაცია: საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა (2022, 2017)



## წყალარინების (კანალიზაციის) ქსელზე მიერთებული მოსახლეობა (%)




— წყალარინების ქსელზე მიერთებული მოსახლეობა (%)  
— წყალარინების ქსელზე მიერთებული მოსახლეობა (%), ჩამდინარე წყლის გაწმენდის გარეშე

წყარო: საქსტატი




# ჩამდინარე წელის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობა (%)



წყარო: საქსტატი

# წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობის პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობაში (%)



წყარო: საქსტატი



# გმადლობთ



**USAID**  
აშერიკელი ხალხისაგან

**ISET** POLICY  
INSTITUTE  
International school of economics at TSU



# რეფორმები

თითოეული რეფორმის კვალდაკვალ

# „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულების პროგრესი



საქართველოს გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მარიამ მაკაროვა

გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი, წყლის სამმართველო  
თბილისი 31/01/2024



# წყლის რესურსების დაგეგმვისა და მართვის მექანიზმი მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების დონეზე

აუზების/სააუზო უბნების  
საზღვრების დადგენა  
(მთავრობის დადგენილება)



მართვის ერთეული:  
მდინარის აუზი/სააუზო უბანი  
(მართვის ორგანო - სამინისტროს  
სამსახური)



მართვის საფუძველი:  
მდინარის აუზის/სააუზო უბნის  
სააუზო მართვის გეგმა  
(კოორდინაცია - სამინისტრო,  
დამტკიცება - მთავრობა)




სააუზო მართვის გეგმების  
მომზადების ვადა - 2026

სააუზო მართვის საკონსულტაციო –  
საკოორდინაციო საბჭოები  
(კონსულტაციები, რეკომენდაციები, გეგმის  
წინასწარი განხილვა)




გეგმების მოქმედების პერიოდი  
- 6 წელი





შემუშავებულია  
სააუზო მართვის  
გეგმების  
პროექტები:





# შემუშავების პროცესშია სააუზო მართვის გეგმების პროექტები



# სააუზო მართვის გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ)

„წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონი (მუხლი 25)

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ (მუხლი 20),

## სგშ-ს სტატუსი:

- C** ალაზანი-იორი - 2021 (EUWI+)
- C** ენგური - 2025 (EU პროექტი – Better water quality for citizens’ health and environment)
- C** რიონი - 2025 (EU პროექტი – Better water quality for citizens’ health and environment)
- C** ხრამი-დებედა - ??
- C** ჭოროხი-აჭარისწყალი - ??



# კანონის სხვა სიახლეები



წყლის მონიტორინგის  
სისტემის ჩამოყალიბება  
ევროკავშირის  
კანონმდებლობის შესაბამისად

სანებართვო სისტემის აღდგენა  
ზედაპირულ წყლებზე



უფლებამოსილი ორგანოების  
კომპეტენციების გამიჯვნა

ზედაპირული წყლებიდან  
წყალალღების მოსაკრებლის აღდგენა

➤ *“ფასიანი ბუნებათსარგებლობის”  
პრინციპი*

## წყლის მონიტორინგის პროგრამა

### არსებული მდგომარეობა

- მიწისქვეშა წყლების რაოდენობრივი და ქიმიური მონიტორინგი
- ზედაპირული წყლების რაოდენობრივი, ქიმიური, ბიომონიტორინგი

*შემსრულებელი - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო*

### პროგრესი


ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისად:

- ქსელის გაფართოება - განსაკუთრებით მიწისქვეშა წყლებზე
- ბიომონიტორინგის და ჰიდრომორფოლოგიური მონიტორინგის განვითარება






## ზედაპირული წყლის მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა



# მიწისქვეშა წყლების სახელმწიფო ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის სისტემა

მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების  
მონიტორინგული სადგურების  
რაოდენობა 2013-2021 წლებში

სადგურების რაოდენობა



საქართველოში  
მიწისქვეშა მტკნარ  
სასმელ წყლებზე  
მონიტორინგი  
განახლდა 2013  
წელს

მონიტორინგის  
ქსელში  
წყალპუნქტების  
ჩართვა  
ეტაპობრივად  
განხორციელდა



საქართველოს გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

## ეკონომიკური მექანიზმები

### არსებული მდგომარეობა

- მოსაკრებელი მტკნარი მიწისქვეშა წყლების მოპოვებაზე (0,005 ლ/მ3, 4 ლ/მ3)
  - კანონი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ
- ჯარიმები წყლის კანონმდებლობის დარღვევაზე
  - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
- წყლის დაბინძურებაზე ზიანის ანაზღაურება
  - მთავრობის დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ
- მოსაკრებელი ზედაპირული წყლის აღებაზე გაუქმებულია 2008 წლიდან

### პროგრესი

- ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღებაზე ეკონომიკურად დასაბუთებული მოსაკრებლის აღდგება

(OECD-ის პროექტი ზედაპირული წყლის აღებაზე მოსაკრებელზე, ORI. Founder?GEO)

# კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (მთავრობის დადგენილებები)

- „წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წესი“;
- „მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების საზღვრების დამტკიცების თაობაზე“;
- „ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ“;
- „სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“;
- „წყლის რესურსების სახელმწიფო მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესი“
- „პოტენციური წყალდიდობების რისკის ქვეშ მყოფი არეალების შეფასების შესახებ“.
- ტექნიკური რეგლამენტი „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“;






# კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (მთავრობის დადგენილებები)

- „ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“;
- ტექნიკური რეგლამენტი „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩამშვების პირობები“;
- ტექნიკური რეგლამენტი „წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ჩამდინარე წყლის ჩამშვებისა და მიღების პირობებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმები“;
- „ზედაპირული წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“;
- ტექნიკური რეგლამენტი - „მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის მოპოვების მიზნით ჭაბურღილების აღრიცხვის წესი“ ;
- „სააუზო მართვის საკონსულტაციო–საკოორდინაციო საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესი“;
- „სასმელი წყლის წყალმომარაგების ობიექტების სანიტარული დაცვის ზონის დადგენისა და მის ფარგლებში საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“.



# SDG 6.5.1 - წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა



2023 წლის საბოლოო შედეგი

55 ქულა

(high medium)



# 2024-2025 წწ. გეგმები და საჭიროებები

- სააუზო მართვის ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნა (ევროკავშირის რეკომენდაციები, ტრენინგები, ტვინინგის პროექტი)
- ჭოროხი-აჭარისწყალის, ალაზანი-იორის, ხრამი-დებედას სააუზო მართვის გეგმების პროექტების განახლება
- ჭოროხი-აჭარისწყალის და ხრამი-დებედას სააუზო მართვის გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება
- მდ. მტკვრის სააუზო მართვის გეგმის შემუშავება (წინასწარი შეთანხმება AFD-სთან)
- სააუზო მართვის საკონსულტაციო–საკოორდინაციო საბჭოების შექმნა
- კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება და დამტკიცება



# გმადლობთ ყურადღებისთვის!



საქართველოს გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის სამინისტრო